ახალგორის
მუნიციპალიტეტის
გაზეთი

№11(115)
ნოემბერი
2023 წელი

გამოდის თვეში
ერთხელ

ევროკომისიამ საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების რეკომენდაცია გასცა

8 ნოემბერს ევროკავშირის გაფართოების შესახებ ევროკომისიის ყოველწლიური ანგარიში გამოქვეყნდა. ანგარიშის მიხედვით, ევროკომისიამ საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების რეკომენდაცია გასცა.

ამის შესახებ ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა განაცხადა.

„კომისია რეკომენდაციას იძლევა, საქართველოს მიენიჭოს კანდიდატის სტატუსი იმ დათქმით, რომ მთავრობა გადადგამს მნიშნელოვან ნაბიჯებს რეფორმების განხორციელების კუთხით. ეს ნამდვილად საზეიმო დღეა საქართველოსთვის. ხშირად, როდესაც ვანიჭებთ, ან გავცემთ რეკომენდაციას სტატუსის მინიჭებაზე, ვამბობთ, რომ ჯერ კიდევ არის რამდენიმე ნაბიჯი გადასადგმელი. ეს დეტალურად გაწერილია რეკომენდაციებში. ნამდვილად უზარმაზარი ნაბიჯია საქართველოსთვის და ხაზს უსვამს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის შთამბეჭდავ და ძალიან ცხად პოზიციას, გაერთიანდნენ ევროკავშირში“, – აღნიშნა ევროკომისიის პრეზიდენტმა.

საბოლოო გადაწყვეტილება საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიცემის შესახებ 14-15 დეკემბერს, სამიტზე უნდა მიიღონ.

„გულითადად ვულოცავ ყველა პოლიტიკურ ლიდერს, მთავრობას, ოპოზიციას, პარლამენტს, პრეზიდენტს, სამოქალაქო საზოგადოებას, თქვენ, მედიას, მაგრამ,

დასასრული მე-2 გვერდზე

ანიტა გვრიტიშვილი – პირველი პოლიციის მაიორი ქალი ახალგორიდან

„ადამიანის ცხოვრებაში მთავარია სუფთად და პატიოსნად ცხოვრება, სიმართლით ცხოვრება...“

5

მურაზ ნიაური: „გულში ჩაუშვით მზე, უფლის სიყვარული და შრომა არ დაიზაროთ“

6

ოქროსა და ვერცხლის მედალოსნები დაჯილდოვდნენ

3

შეხვედრა ამომრჩეველთა ფართომასშტაბიანი ინფორმირების კამპანიის ფარგლებში

3

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დაფარვის არეალი გაიზარდა

4

ევროკომისიამ საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების რეკომენდაცია გასცა

პირველი გვერდიდან

უპირველეს ყოვლისა, გულითადად ვულოცავ საქართველოს მოსახლეობას, ხალხს, რომელიც მტკიცედ და თანმიმდევრულად უჭერს მხარს საქართველოს ევროპულ გზას.

ეს არის ევროკავშირის მხრიდან საქართველოს მოსახლეობის, მისი ხალხის ევროპული მომავლის მტკიცე მხარდაჭერისა და ბოლო წლების განმავლობაში, მიღწეული წინსვლის დიდი აღიარება“,- განაცხადა საქართველოში ევროკავშირის ელჩმა პაველ ჰერჩინსკიმ.

რას ნიშნავს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი და რა ეტაპები მოჰყვება მას?

ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი ენიჭებათ ქვეყნებს, რომლებმაც დეკლარირებულად გამოხატეს მათი განზრახვა, გახდნენ კავშირის სრულფასოვანი წევრები და აკმაყოფილებენ დადგენილ კრიტერიუმებს. თეორიულად კანდიდატის სტატუსის მიღება არ არის გაწევრიანების გზის პირველი ეტაპი, თუმცა საბოლოო ინტეგრაციამდე ის ერთ-ერთ მნიშვნელოვან, თუმცა მეტწილად სიმბოლურ ეტაპად ითვლება.

ქვეყნისთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შემდეგი ნაბიჯი გაწევრიანების გრძელვადიანი მოლაპარაკებების დაწყება და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ქვეყნის დაახლოებაა. მას შემდეგ, რაც მოლაპარაკებები ყველა ჩარჩოში დასრულდება, ევროკომისია კვლავ წარადგენს აზრს ქვეყნის მზადყოფნის შესახებ. ყველა წევრი ქვეყნისა და ევროპარლამენტის დასტურის შემდეგ ქვეყანას გაწევრიანების ხელშეკრულება ფორმდება, იგი უნდა რატიფიცირდეს ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ და საბოლოოდ ქვეყანა ევროკავშირის წევრი ხდება.

ევროკავშირის ამჟამინდელი 21 წევრის (დამფუძნებელი წევრების გარეშე) ბლოკში გაწევრიანების საშუალო დრო 9 წელია. რა თქმა უნდა, თითოეული ქვეყნის შემთხვევაში ვადები განსხვავებულია და დამოკიდებულია ქვეყნის მზაობაზე, საჭირო რეფორმების რაოდენობაზე, გლობალურ პოლიტიკასა და სხვა ფაქტორებზე.

ამჟამად ევროკავშირს წევრობის 8 კანდიდატი ჰყავს. მათ შორის სტატუსი ყველაზე ადრე, 1999 წელს თურქეთმა მიიღო, შესაბამისად, ის ყველაზე სტაჟიანი, მაგრამ ამავე დროს ყველაზე უიმედო (ორმხრივად) კანდიდატია. მას მოჰყვა ჩრდილოეთ მაკედონია 2005 წელს, მონტენეგრო — 2010 წელს, სერბეთი — 2012 წელს, ალბანეთი — 2014 წელს. 2022 წელი ბოლო ათწლეულებში ევროკავშირის გაფართოების ისტორიისთვის უპრეცედენტო წელი იყო — ამ წელს კანდიდატის სტატუსი სამ ქვეყანას, უკრაინას, მოლდოვასა და ბოსნია-ჰერცეგოვინას მიენიჭა.

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი წეროვანში

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი პია კაუმასი, დევნილთა სააგენტოს დირექტორ ზურაბ უტიაშვილთან და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლოზ სამხარაძესთან ერთად წეროვნის დევნილთა დასახლებაში იმყოფებოდა.

სტუმრებს მასპინძლობა გაუწია ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გელა შერმადინმა, პირველ მოადგილე ბონდო ყველაშვილთან და საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ ბალაშვილთან ერთად.

ვიზიტის ფარგლებში, დელეგაცია გაეცნო დევნილთა დასახლებაში არსებულ ვითარებასა და ინფრასტრუქტურას.

შეხვედრა წეროვნის №3 საჯარო სკოლაში გაიმართა.

ახალგორი
ახალგორის მუნიციპალიტეტის გაზეთი
რედაქტორი ანა ყურშავიშვილი
კონტაქტი: ტელ: +995 593 501279
mail: gazeti.akhalgori@gmail.com

გია როსტიაშვილი

მშვიდობით!

ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულო და ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება

გია როსტიაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილედ ბონდო ყველაშვილი დაინიშნა

ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გელა შერმადინმა ადმინისტრაციის თანამშრომლებთან სამუშაო შეხვედრა გამართა, რომლის ფარგლებშიც გამგებლის პირველ მოადგილედ ბონდო ყველაშვილი წარადგინა.

ბონდო ყველაშვილმა დაამთავრა თბილისის აგრარული უნივერსიტეტი. 1996-2003 წლებში მუშაობდა ახალგორის მიწის მართვის სამმართველოში მთავარ ბუღალტრად. შემდეგ იმყოფებოდა ემიგრაციაში. 2014 წლიდან 2023 წლის ნოემბრამდე მუშაობდა ახალგორის მუნიციპალიტეტის სერვისცენტრის დირექტორად. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

შეხვედრის ფარგლებში ასევე იმსჯელეს არსებული საჭიროებებისა და განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ.

ამასთან, შეხვედრის დასასრულს ყურადღება გაამახვილეს ევროკომისიის რეკომენდაციისა და დადებითი შეფასების მნიშვნელობაზე.

შეხვედრას ესწრებოდა ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ ბალაშვილი.

ოქროსა და ვერცხლის მედალოსნები დაჯილდოვდნენ

15 ნოემბერს ახალგორის მუნიციპალიტეტის სააქტო დარბაზში ახალგორის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ 2022-2023 სასწავლო წელს წარჩინებულ სკოლადამთავრებულებთან შეხვედრა გამართა.

ახალგორის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში 500 ლარიანი ფულადი ჯილდოები გადაეცათ ოქროსმედალოსან კურსდამთავრებულებს თამაზ ტატუნაშვილსა და ნათია მიდელაშვილს, ხოლო ვერცხლის მედალოსან დემეტრე ჩოჩელს გადაეცა "ბიბლუსის" 200 ლარიანი ვაუჩერი.

ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გელა შერმადინმა, საკრებულოს თავმჯდომარემ თამაზ ბალაშვილმა დაჯილდოებულ ახალგაზრდებს მიულოცეს სკოლის საფეხურის წარმატებით დაძლევა და უსურვეს შემდგომი წარმატება.

შეხვედრა ამომრჩეველთა ფართომასშტაბიანი ინფორმირების კამპანიის ფარგლებში

ამომრჩეველთა ფართომასშტაბიანი ინფორმირების კამპანიის ფარგლებში, ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონფერენციო დარბაზში შეხვედრა გაიმართა.

მუნიციპალიტეტის და მასში შემავალ ყველა ა(ა)იპ-ების თანამშრომლებს, ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვასთან დაკავშირებით, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული საქმიანობის, საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიების უპირატესობებისა და მნიშვნელოვანი სიახლეების შესახებ დეტალური ინფორმაცია ცესკოს წარმომადგენლებმა მიაწოდეს.

შეხვედრის მონაწილეები პირადად გაეცნენ ელექტრონული ტექნოლოგიების მუშაობას, ასევე გაიმართა იმიტირებული კენჭისყრაც, რომლის ფარგლებშიც დაინტერესებულმა პირებმა პრაქტიკაში გამოცადეს ვერიფიკაციისა და ხმის დათვლის აპარატების მუშაობა.

აღსანიშნავია, რომ ელექტრონული ტექნოლოგიები 2024 წლის 26 ოქტომბერს პარლამენტის მორიგ არჩევნებზე ფართო მასშტაბით იქნება გამოყენებული.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, მშობიარობა და საკეისრო კვეთა, ყველა მოქალაქისთვის სრულად ფინანსდება;

აღსანიშნავია, რომ დაფინანსება მოიცავს არჩევით ექიმის აყვანისა და გაუტკივარების საფასურს. ასევე, მედიკამენტების, კვებისა და პირდაპირ და არაპირდაპირ ხარჯს; შესაბამისად, პაციენტს თანხის გადახდა არ მოუწევს.

რაც შეეხება ჩვენების გარეშე, პაციენტის მოთხოვნის საფუძველზე ჩატარებულ საკეისრო კვეთას, ან ე.წ. VIP პალატის მომსახურებას, აღნიშნული სერვისები სახელმწიფოს მიერ არ ფინანსდება;

აღნიშნული ცვლილება სამედიცინო დაწესებულებების დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფებით (DRG) დაფინანსების სისტემის გაფართოების შედეგად განხორციელდა. DRG მოდელით მშობიარობისა და საკეისრო კვეთის მომსახურების ტარიფები გათანაბრდა და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართულ ყველა სამედიცინო დაწესებულებაში, 1 222 ლარით განსაზღვრა;

რეფორმის მიზანი მაღალი ხარისხის სამედიცინო სერვისებზე მაქსიმალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, პაციენტის თანაგადახდის შემცირება, ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის გაზრდა და საბიუჯეტო სახსრების ეფექტური ხარჯვაა.

ქვეყანაში საკეისრო კვეთის მაღალი მაჩვენებლის გამო, მიზანშეწონილად ჩაითვალა საკეისრო კვეთისა და მშობიარობის ფასის გათანაბრება, რაც შეამცირებს სამედიცინო პერსონალის მოტივაციას საკეისრო კვეთის სასარგებლოდ;

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ბიუჯეტი, 2024 წელს, 3 მილიარდ 400 მილიონი ლარი იქნება. მიმდინარეობს და გაგრძელდება გზების, ხიდებისა და მაგისტრალების მშენებლობა, მუნიციპალიტეტებისა და კურორტების ურბანული განახლება. 2024 წელს, 10 ტურისტულ ქალაქში დაიწყება მასშტაბური სამუშაოები, დასრულდება მთავარი მაგისტრალი რიკოთის უღელტეხილზე.

2024-2025 წლებში განხორციელდება ახალი პროგრამა, რომლის ფარგლებში, ეტაპობრივად, საცხოვრებლით დაკმაყოფილდება 1000-მდე უსახლკარო მრავალშვილიანი ოჯახი. პროგრამის განსახორციელებლად, ჯამურად გამოიყოფა 50 მილიონი ლარი.

ონკოლოგიური ქირურგია, როგორც გეგმური, ისე გადაუდებელი ოპერაციები, ქვეყნის მასშტაბით, ყველა ონკოპაციენტს (გარდა საბიუჯეტო სახსრებით დაზღვეული პირებისა) დაუფინანსდება. მათ შორის არიან დაზღვეული ვეტერანები და ის პაციენტებიც, რომელთა წლიური შემოსავალი 40 000 ლარზე მეტია.

მიმდინარე წლის აგვისტოდან ჰორმონოთერაპია, ქიმიოთერაპია, სხივური თერაპია და მედიკამენტები, ქვეყნის მასშტაბით, ყველა ონკოლოგიურ პაციენტს უფინანსდებოდა. დღეს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ცვლილების მიხედვით, მოქალაქეებისთვის თანაბრად იქნება ხელმისაწვდომი როგორც ქიმიო/ჰორმონო/სხივური თერაპიებისა და მედიკამენტების, ისე ონკოლოგიური ქირურგიის დაფინანსება.

აღნიშნული გადაწყვეტილებით ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, თითოეული ბენეფიციარისთვის, მათი შემოსავლის მიუხედავად, თანაბრად ხელმისაწვდომი იქნება.

ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს განმეორებით ელექტრონულ აუქციონს

გატანილ იქნეს გასაყიდად განმეორებით ელექტრონულ აუქციონზე ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკუთრებაში არსებული მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალება სედანი ,,FORD TAURUS FWD INTERCEPTOR", გამოშვებული 2014 წელს, ფერი რუხი 5/8, საიდენტიფიკაციო ნომერი IFAHP2L99FG124603, სარეგისტრაციო მოწმობის ნომერი AM4766301, სახელმწიფო ნომერი DV-733-VD, საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 10500 (ათი ათას ხუთასი) ლარით.

მითითებული ქონების ,,ბე"-ს ოდენობა განისაზღვროს საწყისი გასაყიდი ფასის 20%-ით, ბიჯის ოდენობა საწყისი გასაყიდი ფასის 1%-ით.

ელექტრონული აუქციონის დასაწყისი 2023 წლის 27 ნოემბერი. დასასრული 2023 წლის 11 დეკემბერი;

პრივატიზებისას შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდის ვადად განისაზღვროს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადა.

გამოვიჩინოთ მეტი სიფრთხილე და ყურადღება

ახალგორის მუნიციპალიტეტის სერვის-ცენტრი კიდევ ერთხელ მოუწოდებს მოსახლეობას, მეტი სიფრთხილე და ყურადღება გამოიჩინოს, რათა აღარ შეიქმნას ისეთი პრობლემები, რაც საკანალიზაციო სისტემის გაჭედვას, ეზოების დატბორვას და წყლის მიწოდების შეფერხებასაც იწვევს, რის მაგალითიც სულ ახლახან, კიდევ ერთხელ გვქონდა.

ეზოებში განთავსებული ჭებიდან სისტემაში მოხვედრილი იყო სრულიად შეუსაბამო საგნები: საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნარჩენები, მყარი ნივთები, რამაც მილის გაჭედვა გამოიწვია.

რთული მდგომარეობა შეიქმნა, რადგან მოსახლეობის ნაწილს ჭები აქვს დალუქული, მიწისგან ან სხვა მასალისგან ამოვსებული, რაც აფერხებს საკანალიზაციო სისტემის ფუნქციონირებას. პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელი გახდა სპეციალური დანიშნულების მანქანის მოძიება. მუნიციპალიტეტს ამ მხრივ დახმარება აღმოუჩინეს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერმა და გუბერნიამ, ასევე წყლის გაერთიანების კომპანიამ.

დასასრული მე-8 გვერდზე

ანიტა გვრიტიშვილი – პირველი პოლიციის მაიორი ქალი ახალგორიდან

ბევრი ნიჭიერი, წარმატებული და საამაყო ქალბატონი გვყავს ახალგორელებს. ერთ-ერთი მათგანია ანიტა გვრიტიშვილი, რომელსაც ახლახან, ვადამდე, პოლიციის მაიორის წოდება მიენიჭა. ანიტამ წარმატებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი,შემდეგ კი – პოლიციის აკადემია... დანარჩენს ჩვენი დიალოგიდან შეიტყობთ.

– ანიტა, ახალგორის მუნიციპალიტეტის სახელით გილოცავთ პოლიციის მაიორის წოდებას, რომელიც ახლახან მოგენიჭათ. მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს სიამაყე გვეუფლება იმის გამო, რომ ჩვენი გუნდის წევრი იყავი და ყველას თავი დაგვამახსოვრე, როგორც გულისხმიერმა და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე თანამშრომელმა...

ახალგორელებს ბევრი საამაყო და წარმატებული ქალი გვყავს. შენ პირველი მაიორი ქალი ხარ... რა შეგრძნებაა ეს – კომფორტია თუ დიდი პასუხისმგებლობა?

– მართლაც, პირველი ქალი ვარ, ვისაც ეს საპატიო წოდება მიენიჭა... მამაკაცები გვყავს, მაიორებიც და უფრო მაღალი წოდებითაც – პოლკოვნიკები... შეგრძნებაა საამაყო და ამავე დროს დიდი პასუხისმგებლობა ჩემი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე. ოცნება მაქვს, პოლკოვნიკი გავხდე, რომელსაც ღმერთის იმედით მალე მივაღწევ.

– თქვენს განვლილ გზაზე მოგვიყევით – უმცროსი ლეიტენანტობიდან მაიორობამდე...

– 2007 წლიდან 2016 წლამდე ვმუშაობდი ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის რუსთავის საქალაქო სამმართველოში. ბოლოს დეტექტივ-გამომძიებელი ვიყავი, წოდებით კაპიტანი, სამსახურის დატოვება რომ მომიწია. შემდეგ ახალგორის გამგეობაში დავიწყე მუშაობა და ამ წლის მარტიდან ისევ დავბრუნდი შს ორგანოებში, შსს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო სამმართველოში, გამომძიებლის პოზიციაზე. დაბრუნების დროს ჩემი წოდება და წელთა ნამსახურობა იმ ეტაპიდან გამიგრძელდა, სადაც დავტოვე. მაიორის წოდება ჯერ არ მეკუთვნოდა, მაკლდა ერთი წელი, მაგრამ ახლა, გიორგობისთვის ,,სამსახურეობრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულების, კეთილსინდისიერი სამსახურისა და გიორგობის დღესთან დაკავშირებით“ ეს წოდება მივიღე, რომელიც უფროსი სპეციალური წოდებაა ჩვენი სამინისტროს რიგებში და ბედნიერი ვარ. მოულოდნელი იყო ჩემთვის. არაჩვეულებრივი ხელმძღვანელობა მყავს, ყველა პირობას ქმნიან, რომ თავი იგრძნო ღირსეულად და თითოეული ჩვენი თანამშრომლის გვერდში დგანან საჭიროების შემთხვევაში.

ბედნიერი ვარ, რომ ისევ დავუბრუნდი ჩემს საყვარელ საქმეს. ვიძიებ სისხლის სამართლის საქმეებს და ძირითადად მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მომხდარი მკვლელობის ფაქტებს (საგამოძიებო ჯგუფთან ერთად), საჭიროების შემთხვევაში, ასევე, სხვა დანაშაულებს.

რაც შეეხება ახალგორის გამგეობას და ჩვენს მუნიციპალიტეტს, სადაც არ უნდა ვიყო და ვმუშაობდე, მაინც ჩემი მუნიციპალიტეტის გულშემატკივარი დავრჩები ნებისმიერ საკითხში, თუკი რამე შემეძლება ჩემი რაიონისთვის.

– ანიტა, მკითხველისათვის საინტერესო იქნება, გვიამბოთ თქვენი ბავშვობის შესახებ... ჩვენ ყველანი ხომ, როგორც ეგზიუპერი ამბობდა, ბავშვობიდან მოვდივართ. რაზე ოცნებობდით ბავშვობაში?

– ბავშვობა კარგი მქონდა, ნათელი, ფერადი. რადგან ახალგორში და ჩემს სოფელში, იკოთში გავიზარდე. სკოლაც იქ დავამთავრე და თითქმის ყველაფერი მქონდა. სხვათა შორის, ჩემი ბავშვობის ოცნება იყო, გამომძიებელი ვყოფილიყავი. დღემდე მახსოვს წიგნი, ,,გამომძიებელი ქალი შორენა“, რომელმაც ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა...

– ადამიანისათვის ცხოვრებაში რა არის მთავარი?..

– მთავარი ადამიანის ცხოვრებაში ალბათ სუფთად და პატიოსნად ცხოვრებაა, სიმართლით ცხოვრება და არ არსებობს მიუღწეველი მიზანი, თუ შენ ყველაფერს გააკეთებ საამისოდ.

– თქვენი ერთადერთი შვილი ლაშა გიგაური წელს სტუდენტი გახდა...

– დიახ, საქართველოს უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის პირველი კურსის სტუდენტია. ჩემი ლაშაა ჩემთვის ამომავალი მზე, რომელსაც სულ ვედგები გვერდში, ორმაგად.

– ეს სიტყვა ძალზე მნიშვნელოვანი და მართლაც ორმაგად ტკივილიანია ქალისთვის, რომელმაც საყვარელი მეუღლე დაკარგა ძალზე ახალგაზრდულ ასაკში... თქვენ თანაკლასელები იყავით, გიორგი თურმე სულ შენს ფოტოებს დაატარებდა ჯიბით...

– კი, ასე იყო... გულწრფელი სიყვარულით შევქმენით ოჯახი... მერე ლაშა დაიბადა... თითქოს ერთი გაელვება იყო მისი სიცოცხლე... თვალსა და ხელს შუა გეპარება სიცოცხლე საყვარელი ადამიანისა და ვერაფერს უხერხებ დროის ამ ვერაგულ რბოლას... ნუგეშად ისღა გვრჩება, რომ ამ ქვეყნად დატოვებულ მის სახელს, ადამიანობას არასოდეს გაუვა ფასი, ყოველთვის ჩვენს გულში იქნება. ოჯახის, ნათესავების, მეგობრების გულში...

– რის გეშინიათ?..

– არ ვარ ღმერთის უკმაყოფილო და არასდროს გავბრაზებულვარ მასზე, რადგან ეს ტვირთი მარგუნა. ადამიანებს, მართალია, ხშირად გვეძლევა დაუმ-

დასასრული მე-6 გვერდზე

გულში ჩაუშვით მზე, უფლის სიყვარული და შრომა არ დაიზაროთ

ახალგორელებს გვახსოვს რაიონული ფოსტის თანამშრომელი მურაზი ნიაური, წელში გამართული, ღიმილიანი, სპეციალური ჩანთით რომ ჩამოივლიდა დაწესებულებებს და საჭირო დოკუმენტებს გადასცემდა. დღეს ბატონი მურაზი 84 წლის ბრძანდება. ცხოვრობს მეუღლესთან დარეჯან ფიცხელაურთან შეხმატკბილებული, შვილები გაზარდეს, დაოფრთიანეს და თავ-თავიანთ ოჯახებში ცხოვრობენ შვილ-შვილიშვილებში გალაღებულები, არც ასაკოვან მშობლებს აკლებენ ყურადღებას და მზრუნველობას.

ჩვენი საუბარი მისი, დღევანდელობისგან ძალიან განსხვავებული, ბავშვობიდან დავიწყეთ...

– ობლად გავიზარდე... მამაჩემი დიდ სამამულო ომში /1941-45 წ.წ/ გაიწვიეს. ახლადმოტაცებული ცოლი ჰყავდა... იმ დროს ბიჭს თუ გოგო მოეწონებოდა ან შეუყვარდებოდა, იტაცებდა და შემდეგ ბედნიერად ცხოვრობდნენ... ომი რომ დაიწყო, სულ რამდენიმე თვის დაქორწინებულები იყვნენ ჩემი მშობლები... მამაც ობლობაში იყო გაზრდილი და არც ეკუთვნოდა თურმე ომში წაყვანა, მაგრამ მაინც წაიყვანეს. სამწუხაროდ, მამა აღარ დაბრუნებულა... დედაჩემი კატო მემარნიშვილი მეტყოდა ხოლმე: სანამ წინა ხაზზე წაიყვანდნენ, წიწამურთან ყოფილა ჯარისკაცების მომზადების კურსები და დედა ფეხით წასულა მამას სანახავად ერთხელ... მამას უთქვამს: კატო, არ მიღალატოო... დედას პირობა მიუცია და ამ პირობის ერთგული დარჩა სიკვდილამდე... ობლობაში გავიზარდე... მაშინ ჩემი ასაკის ბავშვს იშვიათსღა ჰყავდა მამა, თუ ჰყავდა, ომიდან დაავადმყოფებული იყო დაბრუნებული...

დედა მყავდა ძლიერი ქალი. დაჯილდოებული იყო განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით... მღეროდა კარგად, უკრავდა ფანდურზე, გიტარაზე... ობლობასა და გაჭირვებას სიმღერით, სიმშვიდით ვებრძოდით...

იკოთის სკოლაში დავდიოდი. ნიაურთ უბნიდან ოთხნი დავდიოდით: ანზორი, მარგო, ქეთევანი და მე... ქეთევანი და მარგო ამ ქვეყნად აღარ არიან, ნათელი მათ სულებს... ბევრი მაშინდელი მოგონება მზის სხივივით მინათებს გულს, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დიდი გაჭირვება იყო...

– არავინ გეხმარებოდათ?

– ომის შემდგომი პერიოდი იყო, ყველას უჭირდა. მამაჩემის ძმაც ომში დაიღუპა. მაგრამ დედაჩემის მშობლები ცხოვრობდნენ ჩვენთან ახლოს და როგორც შეეძლოთ, გვეხმარებოდნენ.

ჩემს ბავშვობაში და ყმაწვილობაში სკოლის დირექტორი იყო ვასო ნიაური, იმის სულს ვენაცვალე. მამაჩემი და ძია ვასო ძმათა შვილები იყვნენ... სულ ყურადღების ცენტრში ვყავდი... მკაცრი, მაგრამ სამართლიანი დირექტორი იყო, მაგრამ მე განსაკუთრებულად თბილად მექცეოდა... სკოლა რომ დავამთავრე, მეც ჯარში მიკრეს თავი, ხარკოვში ვმსახურობდი. ობლები არ მიჰყავდათ არც მაშინ, მაგრამ უსამართლობაც ბევრი იყო და წამიყვანეს. როცა ჯარიდან დავბრუნდი, ძია ვასო ფოსტის უფროსთან, მიშა პოღოსოვი იყო მაშინ უფროსად, მისულა და უთხოვია: ეს ობოლი ბიჭი ჯარგამოვლილია, გზაზე დამიყენე, სადმე დააწყებინე მუშაობაო... იმანაც დამიბარა და გამცილებად დამნიშნა. რამდენიმე წელი ვიმუშავე...

– სიყვარული როგორ გეწვიათ?

– სიყვარული... ლამაზი გოგო იყო დარეჯანი, დუშეთში მუშაობდა. მაშინ გამოდიოდა გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“ და იქ იყო ამისი სურათები. წერდნენ, როგორც წარმატებულ ახალგაზრდაზე და ჩემმა მამიდაშვილმა გამაცნო...

– როგორ გამოუტყდით სიყვარულში?

– ინტერნეტი რომ ყოფილიყო, უფრო იოლი იქნებოდა (იცინის), მაგრამ ოჯახში მივედი კაცურად... მშობლებმა მითხრეს, ბევრი მთხოვნელი ჰყავს, ყველას ემალებოდა აქამდე და შენ არ დაგემალაო... ან რას დამიწუნებდნენ (იცინის)? ჰოდა, დავქორწინდით...

– ნახევარ საუკუნეზე მეტია, ერთად ცხოვრობთ... გაფერმკრთალდა სიყვარული?

– არა, პირიქით – ეს სიყვარული მზრუნველობასა და მოფრთხილებაში გადაიზარდა... ახლა მარტოკები ვცხოვრობთ, ერთმანეთის მეტი თითქოს არაფერი გვა-

ანიტა გვრიტიშვილი – პირველი პოლიციის მაიორი ქალი ახალგორიდან

მე-5 გვერდიდან

სახურებლად განსაცდელები, მაგრამ ღმერთი ისეთ განსაცდელს არ მოგვივლენს, რასაც ვერ გადავიტანთ. ალბათ ასე უნდა მომხდარიყო. გიორგიმ წაიღო ჩემი სული და გული. სევდა ბევრი მაქვს, რომელსაც სიტყვებით ვერ გადმოვცემ, შეუძლებელია, ეს მხოლოდ გულმა იცის.

მეშინია მხოლოდ სიკვდილის, რომელსაც ვეღარაფერს უშველი. ყველა რთული საქმიდან და გამოუვალი სიტუაციიდან გამოხვალ ადამიანი, გარდა სიკვდილისა. მხოლოდ ეს მაშინებს, სხვა არაფერი...

– და ბოლოს... ახალი წელი ახლოვდება...

– მინდა, ახალი 2024 წელი მშვიდობის იყოს ჩვენი ქვეყნისთვის და თითოეული ჩვენგანის ოჯახებისთვის. ყველა ჩემთვის ძვირფასი ადამიანი ბედნიერი იყოს და არასოდეს მოშლოდეთ სიკეთე და სიხარული. ვინატრებდი, რომ ახალი 2024 წელი იყოს ჩვენი ქვეყნის გამთლიანების და ჩემი ახალგორის დაბრუნების წელი, რომელიც არც თუ ისე შორეული სურვილია...

ქვს საფიქრალი... 5 შვილი გვყავს – მზია, ლალი, ეკა, ნონა, თეა... შვილებზე როგორ არა ვფიქრობთ და ვეხმარებით კიდეც, მაგრამ ყველას თავისი ოჯახი აქვს, თავისი საქმე, შვილები ჰყავთ, შვილიშვილები...

– რამდენი შვილიშვილი გყავთ?

– 12 შვილიშვილი გვყავს და 18 შვილთაშვილი. გავმრავლდით, და ნოდარ დუმბაძისა არ იყოს, მთელი სოფელი ვართ...

– ყველას სახელი გახსოვთ?

– შვილიშვილებისა კი: გლახო, ბაჩო, ნორიკო, მურაზი, სოფიკო, ამირანი, თინა, ხატია, მარი, დარეჯანი, დიმიტრი... აი, შვილთაშვილების სახელები მერევა ხოლმე... მარტო, დედისერთა რომ ვიყავი, ბევრი შვილი მინდოდა მყოლოდა და ეს ოცნება ამიხდა. ჩემი მეუღლეც 8 დედმამიშვილი არიან, ასე რომ, ერთხმად გვინდოდა მრავალშვილიანობა და ვართ ახლა ასე ლამაზად სიბერის კართან...

– რამდენი წელი მუშაობდით ფოსტაში?

– უჰ... მთელი ცხოვრება, 50 წელზე მეტი... თავიდან გამცილებლად ვმუშაობდი. მაშინ საბჭოთა კავშირი იყო და შეიქმნა „სპეცკავშირი“... ახლა ღიმილით ვიგონებ ხოლმე... აბა, დატრიალდნენ ბობოლა ძიები, ყველას თავისი ნათესავი უნდოდა დაენიშნა ამ ადგილზე, მაგრამ მიშა პოღოსოვმა, იმ სულგანათლებულმა გამაფრთხილა: აბა, ახლა წადი თბილისში, სხვა კანდიდატურაა გაგზავნილი და როგორმე ჩაასწარიო... მართლაც, წავედი ტაქსით და მივუსწარი. ბრძანებაც დამიწერეს და ამ ღრმა სიბერემდე შემოვრჩი და კმაყოფილიც ვარ... ბევრი ჯილდო, მედალი, სიგელი, სამკერდე ნიშანი მაქვს მიღებული. ორჯერ ყრილობის დელეგატიც ვიყავი, ჩემი სურათი მოსკოვში საპატიო დაფაზე იყო (მაშინ მიხაროდა ძალიან)...

მაგრამ რას მიქვიან ჩინ-მედლები, ჩემი ცხოვრების მთავარი ჯილდო ჩემი დიდი ოჯახია და ხალხის სიყვარული... და კიდევ ერთი გარემოება: უკან მოხედვისა არასდროს შემრცხვება, გულით ვემსახურე ჩემს საქმეს, ჩემს რაიონს... არც ჩემს მოდგმას შერცხვება როდისმე ჩემ გამო... პირიქით, ეამყებათ, როცა ეუბნებიან, მურაზის შვილიშვილი ხარ... რა კარგი კაცია პაპაშენიო... ეს არის ჩემი მთელი ცხოვრების სიმდიდრე...

შევაჩერეთ ქალთა მიმართ ძალადობა!

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი კამპანია მსოფლიოში 1991 წლიდან იმართება, 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით. კამპანიას მსოფლიოს 187 ქვეყანა და 5000-ზე მეტი ორგანიზაცია აღნიშნავს. კამპანიის მიზანია ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების გზით ძალადობის პრევენციის ხელშეწყობა. ეს საკითხი, ისევე, როგორც მსხვერპლთა დაცვა, საქართველოს მთავრობისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია.

ბოლო წლების მანძილზე საქართველომ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია ამ მიმართულებით, რაც განპირობებულია მულტისექტორული, კოორდინირებული მიდგომითა და მიზანმიმართული პოლიტიკის განხორციელებით.

ევროკომისიის 2023 წლის 8 ნოემბრის საბოლოო ანგარიშში დადებითად არის შეფასებული გენდერულ ძალადობაზე ინსტიტუციების მიერ რეაგირება და ხაზგასმულია, რომ სახელმწიფოს პასუხი ძალადობაზე არის ქმედითი და მკაფიოდ განსაზღვრული.

ზემოაღნიშნულ ანგარიშში ასევე ასახულია საქართველოს ხელისუფლების მიერ დამტკიცებული სტრატეგიული დოკუმენტები და კანონმდებლობა გენდერული თანასწორობის, გენდერული ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე, მათ შორისაა „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების“ და „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა“ 2022-2024 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმები და გენდერული თანასწორობის კონცეფცია.

– საყვარელი სადღეგრძელო...

– მშვიდობის. ოჯახის, შვილების... მერე და მერე /დალევისას/ უფრო ჩნდება ლამაზ-ლამაზი სადღეგრძელოები...

– თქვენი იუმორიც ცნობილია...

– კი. მიყვარს ხუმრობა. იუმორმა გადამარჩინა და მაცოცხლა აქამდე, არც მე ვარ ბოღმიანი და არც სხვა მიყვარს, ბოღმა-შურით რო აქვს გული და ენის წვერი სავსე... შუბლზე ჭირხლი რო გადასდით სიბოროტისა...

ხშირად ვანთებთ მე და ჩემი დედაკაცი სანთელს და ლოცვასა და მადლიერებას არ ვაკლებთ ღმერთს ყოველი გათენებული დღისთვის... მთელი ცხოვრება ალალი შრომით ვიარე... მენატრება ის დრო ახალგაზრდობისა, უბანში რომ გამოვიდოდით მეზობლები, ვმღეროდით, ვცეკვავდით კიდეც... აბა ეხლანდელი ბავშვებივით არც მობილურები გვქონდა და არც ინტერნეტი... ჩვენი გართობა ერთმანეთის სიახლოვე, ურთიერთობა, ტკბილი საუბარი, მოლხენა იყო...

– რას უსურვებთ ჩვენი გაზეთის მკითხველს...

– ჩემი ხნისა და უფრო მეტი მოიყარეთ... გულში ჩაუშვით მზე, უფლის სიყვარული, შრომა არ დაიზაროთ და ყველაფერი კარგად იქნება.

ჩვენებურები

ვიტალი ქენქაძე

დიდი ბალაანი

ხარწოლიათს ხარით ხნავდნენ
დიდი ბალაანი,
ბარბითებში მუსიკობდა
ხალხის გალავანი,
შავი ჩოხის ჩაცმულობით
უჩნდათ ტალავარი,
კაფანდრობით ირჩეოდა მათი ფალავანი,
თრთოდა დედო ზარის რეკვით ცაცხვის ტალავარი,
ციხე-ტაძრით მაგრდებოდა ბალას ბალავარი.

***

დავბრმი, დავყრუვდი, უმძღოლოდ
თოფს თითი ვეღარ გამოვკარ,
ლექსს ამოვიწვდი, – ქსანზე მტერს
იქნებ ეს მაინც შამოვკრა!

„წავიდა, გაქრა, სიზმრებრივ ჩქარა...”

ყველა ახალგორელს გულს გვიკლავს ულამაზესი ქსნის ხეობის ამჟამინდელი მდგომარეობა. დღეს, უმდიდრესი წარსულის მქონე საერისთავოს ერთი ნამსხვრევთაგანია სოფელი ყანჩავეთი – ერთ დროს ძლიერი ცენტრი ქართული კულტურისა. მის სამონასტრო ტაძარში, საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა უნიკალური წიგნები, უნიკალური ნახატებით გაფორმებული.

ყანჩავეთის კაბენში მოღვაწეობდა ერისთავების სახლიკაცი ევდემოზ რატიშვილი, სამაგალითო ქსნისხეობელი, რომელმაც 1674 წ. დაამზადებინა ჟამნ-გულანი და შესწირა ,,კაბენის მონასტერსა გეთსემანიის ღვთისმშობელსა”.

ტაძრის მდიდარი ბიბლიოთეკიდან ასევე მნიშვნელოვანია მე-12-მე-13 საუკუნეების ,,ყანჩავეთის ოთხთავი”.

დღეს დანგრეული ტაძრის აღდგენის საშუალება არ გვეძლევა. ერთი ძველი გადმოცემის თანახმად, მონასტერს დაფლული ჰქონია ძვირფასი თვალი, რომლის საფასით სრულიად შესაძლებელია საჭიროების



„ყანჩაეთის ჟამნ-გულანი“

შემთხვევაში ტაძრის ხელახლა აღდგენა. კიდევ კარგი უცნობია თვალის ადგილ-მდებარეობა, თორემ ისიც მისივე ბიბლიოთეკის წიგნთა ბედს გაიზიარებდა, რაზეც ორიოდ სიტყვა მინდა გითხრათ:

სასულიერო პირმა დიმიტრი ჯაშმა ყმაწვილობა დედინაცვალთან - ფიცხელაურების ქალთან, იკოთში გაატარა. საიდანაც იცნობდა რკინიგზის მღვდელს ნიკიფორე მამამთავრიშვილს. ერთხელ ჯაშს ნიკიფორესთვის, შეხვედრისას გულდაწყვეტით უთქვია: ,, 1885 წელს მინახავს ყანჩავეთის მონასტერში ხის კიდობანი, სავსე ძველი წიგნებით და ქაღალდებით, ოთხი წლის წინეთ კი სულ ცარიელი ვნახე. ამ კიდობნის ამბავი კარგად უნდა იცოდეს მღვდელმა ალექსანდრე ტატუნაშვილმა,რომელიც ყანჩევეთიდან არის.

ნიკიფორემაც, ამ ამბის მოსმენის შემდეგ არ დააყოვნა და მიამბო:

,,ალ. ტატუნაშვილმა ბევრი ქაღალდები ამოარჩია კიდობნიდანო და ერთი სახარება ტყავზე ნაწერიო. კიდევ ორი წიგნი ტყავზე ნაწერი, რომელიც მე ყანჩევეთის სამრევლო ეკლესიაში მინახავს. ერთი მათგანი ნახატებიანი და შვენიერი რამ არიო”...

ასე ,,წავიდა, გაქრა, სიზმრებრივ ჩქარა,” საბუთი ჩვენი ხეობის თავგამოსადები დიდი კულტურისა!

გამოვიჩინოთ მეტი სიფრთხილე და ყურადღება

მე-4 გვერდიდან

სერვისცენტრი აცხადებს, რომ მნიშვნელოვანია თითოეული მოქალაქის მონაწილეობა, საერთო პრობლემაზე ერთობლივი მუშაობა და მოუწოდებს მოსახლეობას, არ ჩაყარონ საკანალიზაციო ჭებში არანაირი ნარჩენები ან ნივთები (გაწმენდითი სამუშაოების დროს ამოღებული იყო საბნები, ტანსაცმელი, პირადი მოხმარების ნივთები და სხვა).

სისტემის შეფერხება ზიანს აყენებს დასახლების ყველა მაცხოვრებელს და განსაკუთრებით იმ ადამიანებს, ვის სახლებს და ეზოებსაც დატბორვის საფრთხე ექმნება.

„მტკვარი სისხლით შეიღება“

გოჩა ბუთხუზი ახალგორის რაიონის სოფელ გავაზიდან არის. მის შემოქმედებაში საპატიო ადგილი უკავია პოემებს საქართველოს ისტორიის თემებზე. დღეს ვბეჭდავთ ნაწყვეტს პოემიდან, რომელიც ეძღვნება 100 ათასი წმინდა მოწამის ხსოვნას. 13 ნოემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სწორედ 100 ათასი მოწამეს იხსენიებს.

ხვარაზმის შაჰი, ჯალალედინი,
ბიჯნისს მოვიდა, დაიდო ბინა,
ქართველთა ჯარის მთავარსარდალის
ნახვა ისურვა ჯალალედინმა...
შეხვედრის შემდეგ, მთავარსარდალი
ცალკე გაიხმო ჯალალედინმა,
„მე ქართველებთან მეგობრობა მსურს,
– სარდალს მიმართა ჯალალედინმა...
– მე თქვენთან მტრობა არ მდომებია,
თქვენ გამიმართეთ ომი გარნისთან;
ახლა დავზავდეთ და დავმეგობრდეთ,
ახლოს გაცნობა მსურს მე ხალხისა...
გაგონილი მაქვს უძლეველობა
და შემართება ქართველთა ქვეყნის
ქართველთ ბუნება,
ქართველთ სიმტკიცე
და ერთგულება, მშობელი ქვეყნის...
მონღოლებისგან დამარცხებული,
საქრთველოსკენ გამოვეშურე,
სამშვიდობოდ ვარ თქვენთან მოსული,
მეგობრობა მსურს,
გთხოვთ, რომ ირწმუნოთ...
საქართველოსთან მტკიცე კავშირით
მონღოლ დამპყრობლებს
გავანადგურებთ.
მოყვარული ვარ მე თქვენი ქვეყნის,
რუსუდან მეფის ცოლად შერთვა მსურს,
თქვენთან მოყვრობა, მსურს,
დამერწმუნეთ...
რუსუდან მეფე თუ უარს იტყვის,
შემოგესევით, გაგანადგურებთ...“
მთავარსარდალმა, ავაგ მხარგრძელმა,
ეს ყოველივე აცნობა თბილისს,
აღშფოთებულმა რუსუდან მეფემ,
თავის ფაიქი აფრინა ბიჯნისს...
შემოუთვალა ჯალალ-დამპყრობელს:
„არა მაქვს შენი მუქარის შიში...“
განრისხებული ჯალალედინი
გამოეშურა სალაშქროდ თბილისს...
...
1226 წელს
ჯალალი მოადგა თბილისს...
თბილისის დაცვა ევალათ
დემნა და ბოცო ჯაყელებს,
სახელოვან ქართველ გმირებს,
სამშობლოს ერთგულ დამცველებს.
...ბოცო და დემნა ჯაყელნი
ვაჟკაცურად დახვდნენ მტერსა,
განძის კარს გარეთ შეებნენ,
გულდაგულ ეკვეთნენ მტერსა...
და იქმნა ომი ძლიერი,
ქართველები სჩეხდნენ მტერსა,
მომხდური უკუაქციეს,
და გმირობით სძლიეს მტერსა...
თბილისელმა მუსლიმებმა,
უღალატეს ქართველებსა,
ღამით კაცი მიუგზავნეს
ჯალალედინ ხვარაზმელსა:
„შენ გარედან შეუტიე
შენი ჯარით ქართველებსა,
ჩვენ შიგნიდან კარს გაგიღებთ
და თბილისში შეგიშვებთა“.
...
განძის კართან მუსლიმებმა
კარები გაუღეს მტერსა...
ვერვინ აღწერს იმ განსცდელს,
რაც დაატყდათ ქართველებსა,
წუხილისგან შეშლილ დედებს
ზედ აკლავდნენ თვის შვილებსა...
ქუჩები სისხლით აივსო,
მდინარესავით დიოდა,
მტკვარი სისხლით შეიღება,
მტკვარი სულ წითლად დიოდა...
გამხეცებულმა ჯალალმა
უბრძანა თავის მხედრებსა:
„ვინც მაჰმადის რჯულს მიღებს,
მას სიცოცხლე აჩუქეთა“...
სიავით და სიბოროტით,
მტარვალთ გული ჰქონდათ სავსე,
სიონის წმინდა ტაძრიდან
წმინდა ჯვარი ჩამოაგდეს.
მაცხოვრისა და ღვთისმშობლის
ხატები გამოაბრძანეს,
ტაძრის გარეთ მოაგროვეს,
პირაღმა ხიდზე დააყარეს...
ვინც არ უარყო ქრისტიანობა,
არ შეურაცხჰო წმინდა ხატები,
თავებსა კვეთდნენ და მტკვარში
ყრიდნენ,
არსაით იყო მათი საშველი...
...
ჯალალმა ქრისტიანები
აწამა, არვინ დაინდო,
ასი ათასი მორწმუნე
ქართველმა სანთლად აინთო...
...
და როცა შემოესივნენ
აზიას თათარ-მონღოლნი,
ჯალალედინი დამარცხდა
ძლიერნი იყვნენ მონღოლნი.

13 ნოემბერი — 100 ათასი წმინდა მოწამის ხსენების დღე

ხვარაზმელი ჯალალ ად-დინის ურდოები 1226 წელს თბილისს ახალ განსაცდელად დაატყდა თავს. ისინი საქართველოში შუა აზიიდან შემოიჭრნენ. სპარსელებმა და ხვარაზმელებმა დედაქალაქს ალყა შემოარტყეს. თბილისი ამ დროს სამი ნაწილისგან — კალას, ისნისა და თბილისისგან შედგებოდა და მისი აღება არც თუ ისე ადვილი იყო. მტერი ქალაქს ნარიყალას მხრიდან მოადგა. თბილისელი მაჰმადიანები ხვარაზმელთა მხარეს გადავიდნენ. მიუხედავად ამისა, ქალაქის მცხოვრებთა დიდი ნაწილი, რომელთა უმეტესობასაც ხელოსნები შეადგენდნენ, მედგრად იცავდა თბილისს. პირველი შემოტევები ქართველებმა მოიგერიეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თბილისში მცხოვრები მუსლიმები შეთქმულიყვნენ ქალაქის დასამხობად. თბილისელმა სპარსელებმა მტერს განძის კარი გაუღეს. საქართვე-

დასასრული მე-11 გვერდზე

მონღოლებისგან დევნილმა,
რამდენი გზები იარა,
ერთ დღეს უცნობი ჯალალი
მთიელ ქურთმა შეიფარა...
მძინარე ჯალალს მან დასცა
იატაგანი შიგ მკერდში,
სიცოცხლეს გამოასალმა
მტარვალი ქართველთა ქვეყნის...

გოჩა ბუთხუზი

23 (10) ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ – ᲒᲘᲝᲠᲒᲝᲑᲐ

23 ნოემბერს, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს ზეიმობს.

დღესასწაულთან დაკავშირებით, ყველა მოქმედ ეკლესია-მონასტერში საზეიმო ღვთისმსახურება აღევლინება.

ქართველთა უდიდეს წმინდანს, წმიდა გიორგის, ქართული ეკლესია წელიწადში ორჯერ მიაგებს პატივს.

23 ნოემბერს (ძვ. სტილით 10 ნოემბერს) მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესია წმინდანის ბორბალზე წამებას აღნიშნავს, 6 მაისს (ძვ.სტილით 23 აპრილს) წმინდანის აღსრულების დღეს.

წმიდა გიორგის თავის კვეთას მხოლოდ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესია აღნიშნავს.

საქართველოში განსაკუთრებულად დიდ პატივს მიაგებენ წმინდანს, რაც მე-18 საუკუნის ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვებიდანაც ჩანს. "არა არს საქართველოში არცა მთანი და არცა მაღალნი ბორცვნი, სადაცა არ იყოს ტაძარნი ანუ ნიშანი წმიდისა გივარგისანი". მართლაც, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში წმინდა გიორგის სახელზე წელიწადის დღეების შესაბამისად, 365 სალოცავი აიგო.

ლეგენდის მიხედვით, წმიდა გიორგის სიკვდილის შემდეგ ღმერთმა მისი სხეული დაანაწილა და ქვეყანაზე მიმოაბნია. ყველგან, სადაც ეს ნაწილები მოხვდა, სალოცავები დააწესა.

აღმოსავლეთ საქართველოს მთაში დღემდე შემორჩენილია ადგილობრივი ღვთაებები, რომელთაც თავისი სახელების გარდა, გიორგისაც უწოდებდნენ (ლაშარი, ლომისა, ხახმატი და ა. შ.), ბარში კი ძველი წარმართული ღვთაება მთლიანად შეცვალა ქრისტიანულმა წმინდა გიორგიმ.

ცნობილია, რომ წმიდა გიორგი და წმინდა ნინო ნათესავები იყვნენ. წმიდა გიორგი მესამე საუკუნის მეორე ნახევარში კაბადოკიაში, მდიდარ ქრისტიანულ ოჯახში დაიბადა. მამამისი მოწამეობრივად აღესრულა. დაქვრივებული დედა კაბადოკიიდან რომში წავიდა და იქ განაგრძო შვილის ქრისტიანულად აღზრდა. ჭაბუკი გიორგი რომის ლაშქარში მხედრად განწესდა.

ახოვანმა და უშიშარმა მეომარმა მალე იმპერატორ დიოკლეტიანეს (284-305) ყურადღება მიიპყრო. მან თავის პირად მცველად დანიშნა წმიდა გიორგი და მხედართმთავრის მაღალი წოდება უბოძა. თუმცა კერპთაყვანისმცემელმა იმპერატორმა თავისი განმგებლობის ბოლო წლებში სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ქრისტიანობას.

წმინდა გიორგიმ ეს რომ შეიტყო, გაათავისუფლა თავისი მონები, ქონება გლახაკთ დაურიგა, სენატში გამოცხადდა, საჯაროდ აღიარა ქრისტიანობა და ყველა იქ მყოფსაც მოუწოდა, მიეღოთ ჭეშმარიტი სარწმუნოება:

"მე მონა ვარ ქრისტესი, ღმრთისა ჩემისა და მსასოებელი მისი. საკუთარი ნებით წარვმდგარვარ თქვენ წინაშე, რათა ვეწამო ჭეშმარიტებისთვის".

თავისი საყვარელი მხედართმთავრის კადნიერი სიტყვით თავზარდაცემულმა დიოკლეტიანემ სცადა დაერწმუნებინა იგი, ქრისტეს განსდგომოდა და მსხვერპლი შეეწირა კერპებისთვის, რაზედაც მოწამე პასუხობს: "ჩემთვის ცხოვრებაა ქრისტე და სიკვდილი შესაძინელ".

რამდენიმე დღის განმავლობაში გიორგის სასტიკად აწამებდნენ. თუმცა სასაწაულებრივი ძალით მისი ყველა იარა მთელდებოდა. საბოლოოდ იმპერატორმა მისთვის თავის მოკვეთა გადაწყვიტა. დასჯის წინ წმიდა გიორგიმ შესთხოვა უფალს, შეენდო მტარვალთათვის, რომელთაც არ უწყოდენ, რას იქმოდნენ და სთხოვა, ჭეშმარიტი რწმენის შეცნობამდე მიეყვანა ისინი, შემდეგ კი მორჩილებით მოუდრიკა ქედი ჯალათის მახვილს.

წმინდა გიორგი 30 წლის ასაკში ეწამა და ეკლესიის ისტორიაში შევიდა, როგორც ძლევაშემოსილი და უძლეველი ზეციური მხედარი. იგი აღესრულა 303 წლის 23 აპრილს.

ანდერძისამებრ, წმიდა გიორგის სხეული პალესტინის ქალაქ რამლაში დაკრძალეს, კონსტანტინე დიდი მეფობის დროს კი წმიდანის სახელზე აშენებულ დიდი ტაძარში გადაასვენეს, ქალაქ ლიდიაში.

წმიდა გიორგის სასწაულთაგან ყველაზე გამორჩეულია მის მიერ გველეშაპის განგმირვა, რის გამოც ქრისტიანულ სამყაროში ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების სიმბოლოდაა აღიარებული.

ტროპარი:

ტყვეთა განმათავისუფლებელო, და გლახაკთა ხელის აღმპყრობელო, სნეულთა მკურნალო, და მეფეთა უძლეველო, წინამბრძოლო, ღვაწლით შემოსილო დიდო მოწამეო გიორგი, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის.

კონდაკი:

მოიმუშაკე ღმრთისა მიერ და გამოსჩნდი მუშაკად პატიოსნად ღმრთის-მსახურებისა გიორგი, და სათნოებათა მჭელეული შეუკრიბე თავსა შენსა, რამეთუ ცრემლით სთესე და სიხარულით მოიმკე, სისხლი დასთხიე და მოღვაწებითა ქრისტე შეიძინე, და აწ მეოხებითა შენითა იხსნი სიკუდილისაგან სულთა ჩუენთა.

13 ნოემბერი — 100 ათასი მოწამის ხსენების დღე

მე-9 გვერდიდან

ლოს მეფე რუსუდანი ქუთაისში იყო. მემნა ჯაყელი ქალაქის მარჯვენა სანაპიროს იცავდა, ბოცო ჯაყელი — მარცხენას. თუმცა ქართველები დამპყრობლებს მაინც ძალიან მოუმზადებლები შეხვდნენ.

1226 წ. 9 მარტს მტერი დედაქალაქში შემოიჭრა. ქალაქის მცველებმა ისნის ციხეს შეაფარეს თავი და მტრით გარემოცულნი იქიდან აგრძელებდნენ ბრძოლას. საქართველოს მთავარსარდლობამ ისანში ჩაკეტილ მეციხოვნეთა მდგომარეობა უიმედოდ მიიჩნია. რუსუდანმა მათ ციხის დატოვება უბრძანა, თუმცა მეციხოვნეები ამის სასტიკი წინააღმდეგები იყვნენ. ბოცომ ჯალალ ად-დინს დანებების პირობების შესახებ მოსალაპარაკებლად მოციქულები მიუგზავნა. ზამთრის დიდი სიმკაცრით გაჭირვებაში მყოფმა ხვარაზმელმა ისნის ციხისთავის საზავო პირობები მიიღო და მეციხოვნეთ გზა გაუხსნა. საქართველოს დედაქალაქი მთლიანად ჯალალ ად-დინს ჩაუვარდა ხელში. მისი ჯარები ქალაქს შეესივნენ და არნახული სისასტიკით იწყეს მოსახლეობის ჟლეტა... ქუჩებში სისხლის მდინარე დიოდა... მტკვარი სისხლით შეიღება და გვამებით გაივსო.

ხვარაზმელს თითქოს სისხლიც მობეზრდა, ბრძანა: სიცოცხლე აჩუქეთ, მხოლოდ მათ, ვინც ქრისტიანობას უარყოფს და მაჰმადის რჯულს შეუდგებაო. ზოგიერთმა, საშინელი კაცთაკვლით შეძრწუნებულმა მართლაც დათმო ქრისტიანობა, უმრავლესობამ კი სიცოცხლეს წამებულის გვირგვინი არჩია.

ჯალალ-ად-დინმა სიონის ლავრიდან წმიდა ჯვარი ჩამოაგდო და მიწაზე დაანარცხა. გუმბათი სულ გადაანგრია სიონს და მის ადგილზე თავისი "ბილწი საჯდომი დაიდგა", ზედ საგანგებოდ აღმართული ფიცარნაგით ადიოდა და იქიდან აწიოკებულ ქალაქს ათვალიერებდა. სიონის ტაძრიდან მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ძვირფასი ხატები გამოატანინა და მისგანვე აგებული "ხიდის" შესასვლელთან პირაღმა დააყრევინა. ბრძანა, რიგ-რიგად მოეყვანათ ყველა ქრისტიანი, ქალიცა და კაციც, ყველას ცალკეულად ჩაეწიხლა და დაეფურთხებინა იმ ხატებისთვის და ფიცით უარეყოთ ქრისტეს რჯული. ხოლო ვინც ამას არ აღასრულებდა, იქვე თავი წარეკვეთათ და მტკვარში ესროლათ. ჯალალი სიონის ნაგუმბათევზე იჯდა და ხედავდა, როგორ მიჰყავდათ მის მეომრებს ქართველები და სომხები, როგორ იბრძოდნენ, ჰკვეთდნენ თავებს და ისროდნენ მტკავში თავსა და ტანს ცალ-ცალკე. მხოლოდ მცირე სულმოკლენი შეურაცხყოფდნენ წმიდა ხატებს და უარყოფდნენ ქრისტიანობას.

100 000 თბილისელის სიცოცხლე შეეწირა ამ დღეს უცხო ველურთა მახვილს. დამპყრობლებმა გაძარცვეს და გააპარტახეს თბილისი. ძარცვა-გლეჯვისას არ დაუზოგავთ არა მარტო ქრისტიანები, არამედ მაჰმადიანებიც, რომელთა წყალობითაც ხვარაზმელებმა ქალაქის დაუფლება შეძლეს.

საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ამ დღეს წამებული 100 000 უდიდესი გმირი წმიდანად შერაცხა.

გია როსტიაშვილის ხსოვნას

ახალგორელთა რიგებს გამოაკლდა განათლებული, თავმდაბალი, სიკეთით სავსე, ინტელექტუალური პიროვნება, ღირსეული კაცი გია როსტიაშვილი. მან სხვადასხვა საპასუხისმგებლო პოზიციაზე ხელმძღვანელად მუშაობის ათეული წლების მანძილზე მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ახალგორის რაიონის განვითარების ძალზე მნიშვნელოვან სხვადასხვა სფეროში. ღიმილის კაცი ბრძანდებოდა, სიკეთის კაცი ბრძანდებოდა, უანგარო, მოყვარული... ყოველ საქმეს, დიდსა თუ მცირეს, მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა, თავისი ქვეყნისა და რაიონის გულწრფელი მოჭირნახულე ბრძანდებოდა მაშინაც, როცა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა სპეციალისტი მშობლიურ რაიონში დაბრუნდა სამუშაოდ, როგორც რიგითი ინჟინერი, და მაშინაც, როცა დააწინაურეს სხვადასხვა პოზიციაზე – სამშენებლო ორგანიზაციის მთავარ ინჟინრად, შემდეგ ხელმძღვანელად. და სადაც სადაც კი მუშაობდა, – რაიონის მთავარ არქიტექტორად, კომუნალურ საწარმოთა კომბინატისა თუ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსად, ყველგან ორგანიზატორული ნიჭითაც გამოირჩეოდა, საქმის სიყვარულითაც.

გია როსტიაშვილი არაჩვეულებრივი შვილი, ძმა, მეუღლე, მამა და ორი ანგელოზის პაპა ბრძანდებოდა. თვალისჩინივით უფრთხილდებოდა ოჯახს, ახლობლებს... და ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ უკვდავება დაიმკვიდრა მათ გულებში. კარგი შვილები, საზოგადოებისათვის პატივსაცემი, წარმატებული, პერსპექტიული ახალგაზრდები – გიორგი და ნინო როსტიაშვილები, რძალი თამარ ბერიძე, მეუღლე ელზა ამირანაშვილი, და ანგო როსტიაშვილი სათუთად შეინახავენ ერთი კარგი, ძალიან კარგი ახალგორელი კაცის – გია როსტიაშვილის ხსოვნას, რომელსაც უფალი ნათელს დაუმკვიდრებს უსათუოდ... მის მარადიულ სამყოფელთან კი ახალგორიდან მონაბერი ნიავი მშობლების ცრემლებს აპკურებს მის გულზე დაბნეულ მიწას...

ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულო და ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობა სამძიმარს უცხადებს ელზა ამირანაშვილს მეუღლის
გია როსტიაშვილის
გარდაცვალების გამო.

ახალგორის სამუსიკო სკოლის პედაგოგები სამძიმარს უცხადებენ ანგო როსტიაშვილს ძმის
გია როსტიაშვილის
გარდაცვალების გამო.

ოქროსფერი შემოდგომა გააცილეს

ფრეზეთისა და წილკნის საბავშვო ბაღის ბავშვებმა აღმზრდელ პედაგოგებთან ერთად ოქროსფერ შემოდგომა ულამაზესი ზეიმით და აქტივობებით გააცილეს. „რთველში“ მოილხინეს, „ვაშლიც“ დაკრიფეს, კაკალიც დაარჩიეს და შემოდგომის ყველაზე ლამაზი რიტუალი – ჩურჩხელების ამოვლებაც შეასრულეს მზრუნველ პედაგოგებთან ერთად. ზეიმის შემდეგ ფრეზეთის ბაგა-ბაღის აღსაზრდელები ესტუმრნენ ბავშვების საყვარელ ქალბატონ ნარგიზას, რომელმაც სტუმრებისათვის ტრადიციულ თონეში პური გამოაცხო და პატარებს გულთბილად გაუმასპინძლდა.

სასწავლო წელი ტრადიციული აქტივობებით გრძელდება. ახლახან წილკნის საბავშვო ბაღს ეწვია ერთ-ერთი აღსაზრდელის მშობელი დარია თათარაშვილი, რომელმაც ბავშვებს სახალისო და საინტერესო აქტივობა შესთავაზა. აქტივობის ბოლოს კი პატარა მასპინძლები „ბარნის“ ორცხობილით დაასაჩუქრა. ბავშვებმა ასევე ძალიან იხალისეს კულინარიის გაკვეთილზე და ლამაზად მოირგეს მზარეულის საქმიანობა.